ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 56

ქ.ვანი „21" „04" 2015 წელი

თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში - მომხმარებელი) გამგებლის ზაზა ხურციძის სახით და მეორეს მხრივ შპს „კავკასიის გენეტიკა"-ს (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის თამარ ყაჭაშვილის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება " მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „დღე", „კვირა", „თვე" კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.3 „მომხმარებელი"–ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიღებას.

1.4 „მიმწოდებელი"–ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 „მომსახურება" - წინანმდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. **ხელშეკრულების საგანი**

1089 (ერთიათასოთხმოცდაცხრა) ლარის მომსახურება. მეცხოველეობის დარგის სამომაველო განვითარებისთვის ხელოვნური განაყოფიერების სპეციალიტის მომზადება CPV805100000

3. **მომსახურების შესრულების ვადა და მიღების პირობები**

3.1 მომსახურების შესრულების ვადაა 2015 წლის 11-22 მაისი.

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი)

4. **ანგარიშსწორების ფორმა, ადგილი და გრაფიკი (ვადები)**

4.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

4.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. (წინასწარი გადახდა)

5. **მხარეთა ვალდებულებები**

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წინამდებარე ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა .

ბ)მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დღეების განმავლობაში, რაზეც მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი.

2. მომხმარებელი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ)უზრუნველყოს „მიმწოდებელის" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის კავკასიის გენეტიკის ცენტრიდან ჩვენი სპეციალისტის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ესტონეთის რესპუბლიკაში გაგზავნა.

გ)წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე 7(შვიდი) დღით ადრე წარუდგინოს მიმწოდებელს ინფორმაციის შესანახი ტექნიკური მოწყობილობა, რომელზეც უნდა განთავსდეს მე-10 მუხლით მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია.

დ)განხორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დროებითი შეჩერების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამგვარი შეჩერებით გამოწვეულ/შექმნილ ნებისმიერ უწესივრობაზე.

4.მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მომსახურების გაწევის მიზნით მიღებულ პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დაგეგმილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართი N1-ის განსაზღვრულ პირობებს.

7.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების შეუსრულებლობით მეორე მხარისშვის მიყენებულ ზიანზე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით

9. დავების გადაწყვეტა

1.ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით

2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5(ხუთი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

1.ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება:

ა) თუ მხარე წინასწარ წერილობით შეატყობინებს ამის შესახებ მეორე მხარეს 30(ოცდაათი) დღით ადრე.

ბ) თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

2.ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მესრულებისგან

4.წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ფარგლებში დამუშავებული პერსონალური მონაცემები, მონაცემთა ბაზის არქივირებული ასლის სახით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გადაეცემა მომხმარებელს მის მიერ წარმოდგენილ მედიაზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 ივნისამდე.

12. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

2.ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე მომხმარებელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შპს „კავკასიის გენეტიკა"
ქ. ვანი თავისუფლების . N65	ქ. თბილისი ნუცუბიძის ქ. N26
ტელ: 0(432)22-25-25	
ს/კ 229653256	ს/კ 231279924
	ა/ა GE59BG0000000130349900
	ბანკის კოდი: BAGAGE22
ზაზა ხურციძე	თამარ ყაჭაშვილი